ასადის თვითმფრინავმა ლიცეი დაბომბა
კვირა, 29 სექტემბერი 2013 21:19

სირიაში ასადის ძალების კუთვნილმა საბრძოლო თვითმფრინავმა ქალაქ რაკაში ლიცეი დაბომბა.
სირიის ადგილობრივი კოორდინაციის კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაბომბვის დროს 14 სტუდენტი გარდაიცვალა, 30 კი დაშავდა.
ცნობილია, რომ თავდასხმის დროს დაშავებული ზოგიერთი სტუდენტის მდგომარეობა მძიმეა, დაშავებულები უდაბნოს საავადმყოფოებში გადიან მკურნალობას.
სირიის კოორდინაციის კომიტეტმა აღნიშნა, რომ რეჟიმის ძალები ქვეყნის ჩრდილოეთით რამდენიმე ქალაქში საჰაერო თავდასხმას გეგმავს.

1 / 1